

ნახ. პ. ლომუასი



1

ნახუნი

პერიოდული
გაზეთი

ISSN 0132-6015

7

აპრილი

1987

„კრიტიკა მზარე წა-
მალია. მაგრამ სენი მას
აუცილებელს ხდის. იჭ-
ყანები, მაგრამ წამალს
მანიტ სვამ. სტდებიან
ის ამხანაგები, რომელ-
საც ჰმონიათ, რომ შა-
ნიკლებოდეს კრიტიკის
დროით დოზირება“.


მ. ს. გორბაჩოვი



2



3



უსიტყვოდ

კაიშინა

საქართველოში

საქართველოში

საქართველოში

საქართველოში

იუმორისტა

- სომ იცი, ახლა სხვანაირი სიტუაციაა და ძველებური ლი-ლით ფონს ველარ ვავალთ?!
- ვიცი, ბავშვი სომ არა ვარ?! ყველაფერი ჩამოწერილი მაქვს, ვინ და რა უნდა გავაკრიტიკო!..
- შენი გამოსვლა სამაგალითო უნდა იყოს! სულ იმას გვეკითხებენ, კრიტიკას ანშობთო, თვითკრიტიკა არ გიყვართო! ერთსულ და სამუდამოდ უნდა მოისპოს სალაპარაკო!
- მეც ასე ვფიქრობ! ვარდა მაგისა, საქმიანი და ობიექტური თვითკრიტიკა სასარგებლოა ასედაც და ისედაც.
- უფრო ასე, ვიდრე ისე!
- რატომ?! ისეც აუცილებელია: სჯობს ჩვენ დავასწროთ და გასაკრიტიკებელი გავაკრიტიკოთ, ვიდრე სხვა დავასწრებდეს და გავაკრიტიკებდეს!
- სწორი ხარ და მიყვებით ახლა პუნქტ-პუნქტად.
- მთავარი დარტყმა ბინაზე გამოძახების საკითხზე გვექნება!
- რა ასპექტში?
- ამ ბოლოს ბევრი გამოძახება იყო და ავადმყოფები ჩივიან, ექიმი სერიოზულად არ გვსინჯავს, რეცეპტს ფეხზე მდგარი წერს და ვარბისო!..
- აჭარბებენ!
- ა, ერთი რას წერს: „როცა ექიმა შეიტყო, ბიულეტენი არ მინდოდა, გაბრაზდა, - რაღას შიძახებდი, ასკოფენს უნემოდ ვერ გადაყლაპავდიო!“
- ესე იგი, პოლიკლინიკის ექიმი მხოლოდ ბიულეტენის გასასწრაფად დადის კარდაკარ?
- ასე გამოდის! ზოგი იმასაც წერს, ექიმს პატივი თუ არ ეცი, ისე გაწვალებს, ბიულეტენს არ გაღირსებსო!
- ეგ ძალიან სერიოზული ბრალდებაა!
- კი, პირდაპირ უნდა დავსცხოთ!
- კი დასცხებ, მაგრამ გვარგია ჩვენ ეგ?! თუ ასეთი ამბები სდება, ჩვენ სადა ვართ, რა ღონისძიებები გვაქვს დასახული?! არ გამოუვა ისე, შენ რომ ფიქრობ! მე მგონი, მაგ პუნქტის ამოღება აჯობებს!
- მაშინ კოლონიას საკითხით დავიწყებ!
- რაო კოლონიამ?
- ავადმყოფი ჩივის, არაფრისდიდებით არ მითხრა, რა მჭირს, მიკობ-მოკობა და ნერვებაშლილი დამტოვაო!
- კიბო პქონია!
- არა, კაცო, თიაქარი აქვს, აშკარად გამოსატული!
- შერე, რას უმაღადა?!!

— ექიმს ტყუილი მოეთხოვება და ვპატივებო, გაიძახის!.. ჩვენს კოდექსში წერია!..

— შერე, ვე თიქარს და გლანდებს კი არ ვხეხა!

— ამ ასპექტში დგება ექიმის მორალური ხასის, ასე ვთქვათ, ეთიკური პრობლემა!

— ეთიკური პრობლემა მისწრებაა, მაგრამ კოლონიას გამწარება და გადაკიდება არ ღირს! სომ ვახსოვს, რა დღე აყარა სამშართველოს უფროსს? სამსახური დააკარგინა! ასეა, ფრთიანი ანგელოზი არავინა!

— მაშინ გიდელაშვილს მოვდგები: სამსახურში დაგვიანებით ცხადდება, გამოძახებებზე არ დადის, პროფკავშირის საწევროს არ იხდის!..

— შენ სომ არ გადაირიე?! ვითომ არ იცი, გიდელაშვილი რომ გოდორაშვილის მახლია!

— რომლის?! იმ გოდორაშვილის?!
— აბა?! სწორედ იმის!

— მაშინ ლაბორატორიით დავიწყებ: მაგარი უწყსრაგობაა მანდი!.. ამას წინათ...

— თუ ძმა ხარ, ლაბორატორიას თავი დაანებე, ლაბორატორიაში ისედაც გაქცევაზე არიან! სომ იცი, რანაირი სპეციფიკური საშუალოა?! სხვა რამეზე ილაპარაკე!

— მაშინ, კაბინეტები რომ არ გვივარგა, იმაზე ვილაპარაკოთ! ავეჯი და მოწყობილობა ძველია! სამთარში არ თბება, ზაფხულში არ გრილდება! ჰერადან კირი ცვივა, კარს სახელური ძვრება!..

— გიყურებ, სანამდე გაავრძელებ ასე სულელურ ლაპარაკს! ბიჭო, ასე გამოსვლა საჯაროდ შეიძლება?! უცხო სტუმრებიც იქნებიან-მეთქი, სომ ვითხარი?! საკრიტიკოს ვეღარ მიაგენი?!
— რაღა დარჩა?

— ადგილკომის მუშაობა აიდე! აბა, რის თვითკრიტიკაა. საწევროები გადაუხდელია, „ცოდნის“ ხაზით ლექციები არ იკითხება და ამ ასპექტით დააწევი კადრების პრობლემას!

— როგორ?!
— როგორ და, ნათესავეები და მოყვრები ჰყავს შემოყვანილი დაწესებულებაში-თქო, დამცხე!

— ვინ მოყვრები?!
— შენ, აბა, ვინ ხარ?! ჩემი ცოლისძმა არ ხარ?!
— რომ მომხსნან?!
— რას იზამ, არც მე შეტყვიან მადლობას! აბა, როგორ ვინდა, ჩემო ძმაო?! თვითკრიტიკა ობიექტური და ქმედითი უნდა იყოს!

ლერი ჩანტლაქი

„აღზრდას ყველაზე დიდ ზიანს აყენებს ის, რომ ზოგჯერ კომკავშირში სამუშაოდ ხედებიან ნაკლებბრინციბული, უსულგულო ადამიანები. მით უფრო, ცუდია, თუ ისინი „რეკომენდებული არიან“ გარედან, უფრო ზუსტად, პროტექციით არიან დანიშნული“.

გაზეთებიდან



— ვინ არის ეს ახალგაზრდა?
— მაგი რეკომენ... დე ბი ლ ი ა

სწარმოცვალება

● **გამორიცხული** არ არის, რომ პურის ცხობაში ზოგჯერ გამოყენებულია ბეტონის დამზადების აქამდე უცნობი მეთოდი.

● **მოდების გამოფენაზე** ნაჩვენებმა ხამი ქსოვილისგან შეკერილმა ფულშეუღწევემა სამუშაო კოსტიუმმა დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

● **საწყობში** „ლევი“ საქონლის აღმოჩენისას რევიზორმა ის „ფუკის“ სახით მიითვისა და ამით წონასწორობა აღადგინა.

● **არავისთვის** ზიანი რომ არ მიეყენებინათ, დიეტური კრიტიკა გამოიყენეს.

ანდრო კოკოლია

არიქა!

— ეს რა შტერი ბავშვიაო?! — მასწავლებლებს უკვირდათ. აილო და მამამ ჯიბრზე ატესტატი უყიდა!..

— ჩერჩეტი სტუდენტიაო! — ჩურჩულებდა დეკანი. მამამ დიპლომიც უყიდა წითელი გარეკანით!..

— რა ბრეყვი მუშაკიაო?! — სამსახურშიც უკვირდათ. ჰოდა, მამამ შეიღს იმათი გამგის პოსტი უყიდა!..

კვლავ მოუხდენენ. თქვეს: — გამგეა უსინდისო, გულდიდი! ჩაეცინა მამას: — ჯიბრზე მას სინდისსაც ვუყიდა! დღემდე მისი შეჩერება არ მოხერხდა, არ იქნა!..


ნუთუ სინდისსაც იყიდის?! ფრთხილად, ხალხო, არიქა!..

ავთანდილ ციგაქი



— რა მჭირს გარდასაქმნელი? ქვაც მაქვს და კაკალიც!

ლიკოდრომი



ქვეყნად ვერავინ გაჰყვება ცა-მზის,
 იმ დრომაც უკვე ჭირი მოგვჭამა,
 როცა „დიდკაცნი“ ყვინთავდნენ სკამზე,
 გადაქცეულნი **ლიკოდრომად!**..
 მკერდს მუდამ ჰქონდა მისი ფუნქცია
 (ეპითეტები: **რკინა** და **რკალი!**)
 ზოგს ღვინომ მკერდი ღიპად უქცია,
 სასაცილოა — **მკერდი** და... **მრგვალი!**..
 მომხვეჭელთაგან ზოგი ჰგავს რაინდს,
 ზოგი ჩააა, ზოგი ლონდრეა,
 უმეტნაკლებოდ სამივეს მაინც
 ტანჯავს სასჯელის **ლიკოდრომია!**
 ჩემო იმანო და **ლიკოლიტა**,
 გაუტოლებელს ნუ ეტოლებით,
 ახლა ისეთი, ჟამი მოვიდა,
 ფონს ველარ გახვალთ **ლიკაროლაჟით!**
 უკვე თემიდის ზუსტ სასწორზეა,
ლიკოქრატ, არმად რაც გიჭამია!
 არც მირაჟია, არც **ლიკონი**, —
 მართალ-მტყუნთა განსჯის ჟამია!..
 და ერთი კიდევ: შევეშვათ ამას,
 რომ არამ-ალაღს ერთად გიბრიდით,
 უზომო სმა და უზომო ჭამა
 მომწამვლეელია, როგორც **ლიკრიტი!**
 ძალიან ცდება, ვისაც ჰგონია,
 რომ **ლიკწაგდაჟით** სტვენა კარგია,
ლიკის ბრალია **ლიკარტონია**,
 იშემია და სტენოკარდია!..
 „მოკლედ ითქმისო!“ მეც მოკლედ ვიტყვი
 (უსაგნო განსჯებს მხოლოდ დრო მიაქვს):
 სიკვდილისათვის **გატორი ღიპი**
 სათადარიგო **ლიკოდრომია!**..
 ვიცო, მკილავენ: ვისა წვრთნის ვინო?!.
 „სხვამან სხვისაო!“ — კვლავ შოთასია!
 ხალხო! ჯიხვის რქით შესმული ღვინო
 სიკვდილის ნადდი **ლიკოსტანია!**
 P. S. ემაგის მალექსებელსა
 მეძახან **ლეკოთი წიქასა**,
 გულში მჭირს **ლიკის** ნასროლი,
 ვაჰ ცდასა **მუსა(ე) ლისასა!**..
 ინფარქტმა ჩამომამორა
 თუთუნს და ღვინის ჭიქასა!..
 ანდა რად მაპატიებდა,
 გულს რო ვაცლიდი სიქასა?!.
 უხარის ოჯახობასა:
 „შეღავათს მისცემს ქისასა!..“
 ... სულ ყველას ეგრე მოუვა
 ტრფიალსა ჯიხვის რქისასა!..

ალექსი ჭინჭარაული



— ახლებურად მუშაობას აღარ აპირებ?
 — როგორ! ძველებურად ვმუშაობდი თუ?!



რადგან ქუდი საერთოდ არა მაქვს და არც ამჟამად მახურავს, ჩემს საბრძოლო ფიწალს ვხრი თქვენს წინაშე ნიშნად იმ დიდი ღვაწლის აღიარებისა, რაც თქვენ მიგიძღვით ქართველი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში, მომხიბლავი მოთხრობებით ჩვენი ბავშვების სულიერ დაპურებაში!

ბატონო **ლავრენტი**, მთლად ბალღი არც მე ვარ: ამ სამი წლის წინათ სამოცი წელი შემისრულდა, ამიტომ კარგად მახსოვს თქვენი პირველი წარმატებები მწერლობაში, მახსოვს, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში თქვენი წიგნები, რა გატაცებით კითხულობდნენ მათ დიდებიც და პატარებიც (მათ შორის მეც!).

თქვენი ისტორიული მოთხრობები — „**ბრმა ისარი**“, „**უბნის მამული**“, „**მეფე დესკანი**“, „**ნადირ-შაჰის ხმალი**“ ჩემი ყმაწვილკაცობის თანამედროვე ვაუებმა და ქალიშვილებმა თავიანთ სამაგი-

ლო წიგნებად გაიხადეს. მე პირადად სამჯერ წავეკითხე „**ნადირ-შაჰის ხმალი**“, მერე თქვენი „**ისლიანი სახლები**“ კარი შევალე და იქვე „**ჭარმახას**“ გავეცანი, სულ ბოლოს კი „**ნარბაქისათვის**“ ვირბინე და ძლივს ვიშოვე! თქვენი წიგნების კითხვისას სიცილიც ბევრჯერ ამტყდომია და დარდიც ხშირად შემომწოლია, ზოგჯერ ცრემლიც მომდგომია თვალებზე, მაგრამ, გარწმუნებთ, ეს არ ყოფილა ნიანგის პროფესიული ცრემლი — კაცური ცრემლი გახლდათ!

თუ ნიანგის ცრემლი დამიდვრია სადმე, მხოლოდ სატირულ-იუმორისტული ადგილების წაკითხვისას, სწორედ ამ იუმორისტული გადახვევებისათვის გეხვევი ძმურად და, ფიწალთან ერთად, თავსაც გიხრით ოთხმოცწევტიან საიუბილეო ტანტზე მჯდომარეს!

შენი თაყვანისმცემელი **ნიანგი**

მეგობრული შარკი თინათი გოგონასა



მთელ ქალაქში ერთი თავისებური არქიტექტურული ნაგებობა ღვას. თავიდანვე მასში მოთავსებული იყო ერთი დაწესებულება.

მერე როგორი? დიდი!.. ძალიან დიდი!!!

იქაური დაბალი და მაღალი თანამდებობის პირები თავმოწონებით ამბობდნენ: — დიდია ჩვენი დაწესებულება!

დირექტორი კი თავბუდს იწყევლიდა: — ძნელია ამხელა დაწესებულებას მოვლაო!

ამ დროს მოადგილე ნიშნისმოგებით თავის გუნებაში ფიქრობდა: — შე დალოცვილო, თუ ასე გიჭირს, დაწერე განცხადება და წადი! შე აგერ არა ვარ?! მთელ საქმეს ახლაც რომ შე ვაკეთებო?!

ერთხელ დირექტორი კარგი გუნდით მოვიდა სამსახურში. ისმო მოადგილე. ისიც მაშინვე ეასლა. ეუცხოვა კარგ ხასიათზე მყოფი უფროსი. ასეთ მხიარულ გუნებაზე არასოდეს ენახა. მოადგილის გამოჩენაზე დირექტორი, ეს მაღალი კაცი, უცებ წამოსტა, აიშოლტა, ხელი ვაუწოდა ჩამოსართმევად, თითქოს დიდი ხნის უნახავი პყავდა.

გაოგნდა მოადგილე, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ რაკი უფროსი იცინოდა, თვითონაც გაიცინა ისე, რაღაც უაზროდ!..

— გაკეთდა, მართო ჩემი საქმე კი არა, შენიც! — თქვა დირექტორმა.

შეცბა მოადგილე და გაკვირვებით ჰკითხა: — რა საქმე?!

— როგორც იქნა გვეშველა! იყოფა ჩვენი დაწესებულება!..

— მერე, შე რა?!

— დირექტორობა მოგელის, დირექტორობა!

საქრებულო

იუმორისა

ამაზე არც მიფიქრია! — ეს კი წარმოთქვა მოადგილემ, მაგრამ გულმა რჩინი უყო. მოგვიანებით იკითხა: — როგორ?! ჩემზე ითქვა რამე?

— თქმა რად უნდა?! იმ დაწესებულების სადირექტორო კაცი სხვაგან რა საქმეარია?! ის დაწესებულება ჩვენი განაყოფი იქნება! აქაური შენ ყველაფერი იცი! შენზე უკეთეს ვის ნახავენ?!

წინასწარ ამ მოადგილესაც აუფართქუნდა სისარულის უხილავი ფრთები.

დაიწყო ლოდინის ხანა.

შენობის ერთი სართული ახალი დაწესებულებისათვის გამოიყო. მოსამზადებელი სამუშაოები, მართლაც, მოადგილეს დაეკალა. ისიც ენერგიულად მოეკიდა საქმეს. დირექტორად დანიშვნის ბრძანება ჯერ არ იყო დაწერილი, მაგრამ გაკეთებით ყველაფერს აკეთებდა, აწესრიგებდა, დადიოდა დერეფანში, გულშემატკივარი კაცის ტონით ლაპარაკობდა:



კობდა: — დირექტორი აქ დაჯდება, აქ — მოადგილე, აქეთ — განყოფილებათა გამგეობები, იქ — რიგითი მუშაკებიო!

გაიგეს თუ არა, დირექტორის ადგილი გამოჩნდაო, ვინ აღარ წამოყო თავი!..

სხვების ბედი იყო საკითხავი, თორემ უფროსმა თავის მოადგილეს რომ ადრევე მიულოცა ამ ახალი დაწესებულების დირექტორობა?!

ჰოდა, მას თავი ქუდში აქვს!

დირექტორობის მსურველნი თვითონ თხზავდნენ ჭორებს თავიანთ შესახებ. ჭორს ფრთები არ ჰქონდა, მაგრამ ფრთოსანზე სწრაფად მიფრინავდა. მიმოვივლიდა ნაცნობსა და უცნობს. ბოლოს ჭორი კი არა, თითქოს სინამდვილეაო, პირველ მიქმელთან უფრო სწორედ მსმელი ბრუნდებოდა. მაშინ იგი გაკვირვებით წამოიძახებდა: — მართლა?!

აღარ ახსოვდა, ეს ჭორი მისი გამოგონილი რომ იყო, — სიმართლე ეგონა!..

ზოგი ასე ამბობდა, ზოგი ისე.

ძველი დაწესებულების დირექტორის მოადგილე კი მშვიდად იჯდა, ელოდა ბრძანებას.

ამ ლოდინში, ერთ დღეს, ახალი დაწესებულების ახალი დირექტორი გამოცხადდა.

ძველი დირექტორის მოადგილემ, რომელსაც ეგონა, რომ თავი ქუდში ჰქონდა, ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს პირიდან ლუკმა წაართვისო!..

ლავრენტი ჭიჭინაძე

სარსი



თუჯი

ფელატონი

ერთ დღეს ნატანებელმა ზაურ მიმინოვილმა თბილისელი ან-ზორ ელიზბარაშვილისაგან დანა-შაულბერივი გზით ნაშოფნი სატვი-რთო ავტომანქანა „ზილ-131“ 2820 მანეთად იყიდა, რასაც გაუფორმებ-ლად, პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდა, მაგრამ, როგორც იქნა, გაუგეს და 1984 წლის 11 მაისს მახა-რადის რაიონის შს განყოფილების ავ-ტონისპექციამ მიმინოვილს სატ-ვირთო ავტომანქანა ჩამოართვა!..

ზაურ მიმინოვილი რის მიმი-ნოვილი იქნებოდა, რომ ასე ადვი-ლად დაეყარა ფარ-ხმალი! მის თვალ-წინ გაიელვა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ გმი-რის კირილე მიმინოვილის სახემ!..

— ჩვენ გახლავართ მიმინოვი-ლები! — წამოიძახა კირილეს მიბაძ-ვით ზაურ მიმინოვილმა, როცა სატვირთო ავტომანქანა „ზილ-131“ ჩამოართვეს, — მიმინოს შვილები!.. ჩემთან რა უნდა მწუხარებას?! ჩვენ თავს არავის დავატყვევებინებთ! გვა-როვნობით ვართ ასე! სადაც ფული და ქონებაა, იქ სიამე და პატივისცე-მაცაა და იქ ჩვენც ვართ! ასე მოგვ-დგამს გვაროვნობით!.. აბა, შენი ჰი-რიმე, ორიოდ დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ავივსო, მოლხენა დავიკლო?! კაცი მულამ ძიებაში უნ-და იყოს და გამოსაველსაც მიაგნებს! არის, მივაგენი! პლატონ სამანიშვი-ლისა არ იყოს, ხომ მიაგნო, მამის — ბეკინასათვის ორნაქმარებ უშვილო დედებერს რომ ეძებდა?! მეც გავი-კითხ-გამოვიკითხავ, ეგებ სადმე წავა-წყდე აღრიცხვიდან მოხსნილ სატ-ვირთო ავტომანქანას! ცხოვრება ხომ მინდა?!..

თქმა და ქმნა ერთი იყო. ზაურ მიმინოვილმა პლატონ სამანი-შვილივით რაიონში გაიკითხ-გამოი-კითხა, აღრიცხვიდან მოხსნილი, ჩა-მოწერილი სატვირთო ავტომანქანა ხომ არსად გეგულებათო, მაგრამ ვერსად მიაგნო. მაშინ თბილისს მია-შურა. მატარებელში შემთხვევით გაცნობილ ერთ მგზავრს თავისი გუ-ლის ნადები გააცნო.

— თქვენ მართლა ეძებთ ჩამოწე-რილ, უნომრო საბარგო ავტომანქა-ნას? — ჰკითხა უცნობმა, როცა მატა-რებელი თბილისს მიუახლოვდა.

— ვეძებ! — უპასუხა ზაურმა.

— კაი დაგეშართოს, ბედნიერი კაცი შენ ყოფილხარ!.. მე მეგულება ასეთი კაცი. შეგახვედრებ. ალიკა ქვია (შემდეგში გამოძიებამ ვერ და-

ადგინა ვერც მგზავრის, ვერც ალი-კას ვინაობა), მას „მაზ-504“ მარკის სატვირთო ავტომანქანა-რეფორიერა-ტორი ჰყავს, მისაბმელიანად, ყიდის. სწორედ შენთვისაა ზედგამოჭრილი, თითქმის სულ ახალია. აგერ ორი წელია, ეზოში უდგას, საბურავებიც ახალთახალია 20 ტონა ხილი ეტევა მისაბმელში. აბა, არა?

— ნამდვილად იცი ეს ყველაფე-რი? — შეეკითხა ზაურ მიმინო-ვილი.

— ვიცი? შე დალოცვილო, მეზობ-ლის ამბავი არ ვიცი?!


და ზაურ მიმინოვილმა 7160 მანეთად ალიკასაგან შეიძინა და თბი-ლისიდან ნატანებში ჩაიყვანა „მაზ-504“ მარკის ავტომანქანა თავისი მისაბმელიანად.

მაგრამ აღრიცხვიდან მოხსნილ სატვირთო ავტომანქანას გაფორმება არ უნდოდა? თუმცა „კეთილ“ ხალხს რა გამოლევს ქვეყანაზე და, აი, ზაურ მიმინოვილი მახარადის რაიმილიციის განყოფილების ერთ-ერთ პასუხისმგებელ მუშაკს რ. შრუ-შაძეს მიაღდა.

— ბატონი ბრძანდები! კი, ჩემო ზაურ, მაგზე რად გინდა მაგდენი ხვეწნა?! — მოწყალებდ გაუღიმა შრუშაძემ შეჭირვებულ კლიენტს.

— იმე, რალა ვთქვა!.. ხომ იცი, უპატივცემულოდ არ დაგტოვებ!..

მართლაც, ზაურ მიმინოვილის პატივისცემით კმაყოფილმა რ. შრუ-შაძემ აღრიცხვიდან მოხსნილი უნო-მრო „მაზ-504“ მარკის ავტომანქანა



მახარადის „ხილობსტანეაქობის“ სახელზე ყალბად გააფორმა იმდაგე-რად, რომ სინამდვილეში რეფორიერა-ციის სახელზე არ ირიცხებოდა.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შექამოსო! — თქვა ზაურ მიმინო-ვილის თანასოფელელმა ლევან კუჭავილმა. — ჩვენ რა, კუჭი არა გვაქვს, ჭამა არ გვინდა, თუ რაო?! ამის თქმა იყო და, კუჭავილმა 1985 წლის დეკემბერში თავისი ფე-ხით მიაკითხა სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქსოფლმანქანაშე-ნის“ ლაითურის სავლე საცდელ ბაზას. ამ ბაზის ზეინკალი შოთა სოზრავანიძე ადგილზე დახვდა.

— ჩემო შოთა! მე ვისზე ნაკლები ვარ, აგერ ზაურ მიმინოვილს საკუთარი სატვირთო ავტომანქანა ჰყავს, თანაც მისაბმელით. რაიონის მთელი „ლევი“ ტვირთი მაგას გადა-აქვს, ჰოდა, დამეხმარე, ერთი კარგი ტრაქტორი მიშოვე პირადი სარგებ-ლობისათვის და, შენთან რალა მაქვს დასამალი, კერძო სამუშაოებსაც შე-ვასრულებ, პაწა ხელს გავიმართავ!.. სამაგიეროდ ხელი ხელს ბანს!..

— და ორივე კი პირსო.— ჩამოარ-თვა სიტყვა შოთა სოზრავანიძემ და გამოწვდილ მარჯვენას მარჯვენა შეაგება.

გარიგების თანახმად, 1984 წლის 4 იანვარს შოთა სოზრავანიძემ „საქსოფლმანქანაშენის“ ლაითურის საცდელი ბაზიდან ჩამოწერილი ტრა-ქტორი „ტ-16“ გამოიყვანა და ლევან კუჭავილის ეზოში შეაგრიალა. სამაგიეროდ კუჭავილისაგან ტრა-ქტორის საფასურად 888 მანეთი ჩაიჯიბა, „მალარიჩად“ ორი ლიტრი კარგი ადესაც მიირთვა და ლილინით შინისაკენ გზას გაუდგა, მაგრამ, ვაი, რომ საბოლოოდ მათი გზა სასამარ-თლოსაკენ წავიდა, სასამართლო კი მკაცრად სჯის სიავისა და ბოროტე-ბის ყველა ჩამდენს. ავი ასეც მოხ-და!..

უშრომელ შემოსავალს დახარ-ბებულთ ილია ჭავჭავაძის ჭრთი შე-გონება გვინდა შევასხენოთ: „მარ-თლმსაჯულებას გახურებული რკინის თვისება აქვს, იგი სწვავს, როცა სუსტ მხარეს შეეხება“.

ზაალ მენდენისერი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამი-ნისტროს უფროსი კონსულტანტი.

„ახლის ნერგები ძნელად ხარობს. მათ ხშირად ახრჩობს უღისციპლინოზის, უპასუხისმგებლოზის, უინიციატივოზის „სარეველა“.“



კიბი შელოყბე!

ხელმძღვანელის პოზას შეეჩვია დიდად, ყოველდღიურ პროზას უკვე ვეღარ იტანს!.. იმეორებს კითხვებს: როგორ? რისთვის? რატომ?.. სკამზე ზის და... მყიფე თავი უჩანს მარტო!..

უზნეო და ფლიდი ზნეობაზე ლაყბობს!.. თან მადა აქვს დიდი - სხვა სივრცეებს ნატრობს!.. და აგროვებს უხვად ნივთებს, ოქროს, ფულებს!.. დროს არ კარგავს „უქმად“ - „ვოლგა“ უჯობს პუნეს!..

თვით ივიწყებს კითხვებს: „საიდან?!“ და „რისთვის?!“ და ცარიელ სიტყვებს შეათუჯურ ისერის!.. ცრუ ფრაზებით „იღვწის“, ლაყბობს: „გვაქვსო ძვრები!“ თუმცა ყველამ იცის, ვინ ვის ტყავში ძვრება!

დრო კი ჩქარა მიდის, არ ჩერდება დიდხანს!.. „კიბის მოლაყბე, ფლიდი!“ - საბოლოოდ ითქვა!

ნოდარ მახარაძე

ქალი + ექიმი

იუმორასკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევანი: - ნინო, სად ხარ, მომხედე!..
 ნინო (შემოდის): - აქა ვარ, გენაცვალე, რა გინდა?
 ლევანი: - ისევ მერევა გული!.. ტაშტი!..
 ნინო (აწვდის): - აჰა, გენაცვალე!
 ლევანი (პირს ასაქმებიანებს, წუხს): - მოკვდი, კუჭი მტკივა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია!..
 ნინო: - ისევ უნდა დავურეკო სასწრაფოს! (რეკავს). ნოლ-სამია? სასწრაფო დახმარება გვჭირდება, ბულბულის ქუჩის სამ ნომერში, კანკავა, 52 წლისა, მეორე სადარბაზო, მესამე სართული!..
 ლევანი: - აქ არ იყვნენ ნახევარი საათის წინ! ვერაფერი მიშ-ველის! (ოხრავს).

(შემოდის მეზობელი ლენა)

ლენა: - როგორ ხართ? უკეთესობა არ არის?
 ნინო: - არა, უფრო ცუდადაა!..
 ლენა: - დავუძახოთ სასწრაფოს, იქნებ სხვა ბრიგადა იყოს, უფრო გამოცდილი!..
 ნინო: - უკვე გამოვიძახე!

(ისმის ზარის ხმა, ნინო აღებს კარს)

- აქეთ მობრძანდით, აქეთ!..

(შემოდის ექიმი)

ექიმი: - რა სჭირს ავადმყოფს?
 ნინო: - ეს რომ ვიცოდეთ, თქვენ ხომ არ დაგიძახებდით?!
 ექიმი: - აჰ, პირს ასაქმებიანებს?
 ნინო: - დიახ, კუჭიც სტკივა!..
 ექიმი: - ნამდვილად მოწამლულია! რა ჭამა?
 ნინო: - ის, რაც ყველამ ჩვენი ყველაფერი ახალი იყო!..
 ექიმი: - ბორჯომის წყალი თუ გაქვთ, კუჭს ამოვურეცხავ და ოყნას გავუკეთებ.

(ნინოს შემოაქვს „ბორჯომი“ და ოყნა)

ლენა: - ბატონო ექიმო, ეს ყველაფერი უკვე გაუკეთა სასწრაფომ, ერთი საათიც არ იქნება!..
 ექიმი: - მეორედაც შეიძლება, მწვავე მოწამელასთან გვაქვს საქმე!
 ლენა: - გული არ იყოს, ბატონო!.. იქნებ სჯობდეს, გული გამოეთიშოთ?!
 ექიმი: - თქვენ კოლეგა ხართ?
 ლენა: - არა, ფილოლოგი.
 ექიმი: - ჰოდა, თქვენ თქვენს ფილოლოგიას მიხედეთ, ჩვენ ავადმყოფს მოვუვლით! (უკეთებს ოყნას, ურეცხავს კუჭს).
 ლევანი: - თვალთ მიბნელდება, კვადები!..
 ნინო (კივის): - მიშეველით!..
 ექიმი: - გვაცალეთ, ქალბატონო! (ავადმყოფს უკეთებს ნემსებს), მდგომარეობა მძიმეა, ახლავე უნდა გადავიყვანოთ ინფექციურში!..

ლენა (რეკავს დილით): - ინფექციური საავადმყოფოა? თქვენთან წუხელის მოიყვანეს ავადმყოფი კანკავა, ხომ ვერ მეტყვიოთ, როგორ არის? ვერ გავიგე!.. რა ბრძანეთ? კარდიოლოგიურში გადაიყვანეს? ნამდვილად? ღმერთო ჩემო, „აბშირნი“ ინფარქტით? (დებს ყურმილს). ესეც ჩვენი ექიმი!.. ავადმყოფს ინფარქტი ჰქონია, ექიმი კი კუჭს ურეცხავდა და ოყნას უკეთებდა!.. უკეთეს ექიმს ვერ ინატრებს კაცი!..

თ. იაკე

შენ ზეპითა ხარ, ჩვენ—ქვეპით!..

ფელაბონი

საბარაქოს რაიონის სოფელ მანა-
 ვში ალბათ ბავშვმაც კი იცის მგლისა და
 კრავის იგავი — ზევით მდგომი მგელი რომ
 შარს სდებდა კრავს, წყალს მიმღვრევო!..

მგლის პოზიციაში აღმოჩნდა აქაური ანო-
 ნიში ავტორი, რომელმაც „ნიანგში“ საგან-
 გაშო ფირმანი აფრინა: — ვიღუპებით, ქვე-
 ვითუბნელები, წყალს გვიმღვრევენ, ჯერჯე-
 რობით მხოლოდ გვიმღვრევენ, მერე კი
 ალბათ სულაც შეგვიწყვიტენ და მღვრიესაც
 სანატრელს გაგვიხდიანო!..

ეს რომ კერძომესაკუთრული ყვირილი
 იყო და თანაც ხმის ჩახრინწვამდე აწეული,
 ნაწერზევე ეტყობოდა, მაგრამ ნიანგი გუმანს
 მთლიანად ვერ ენდო და არ ჩამჯდარა არა-
 ფერში, არც მანქანაში, არც ნავში, ფეხით
 ჩავიდა მანავში!..

ვინ — ვინ, მაგრამ ნიანგმა კი იცის წყლის
 ყადრი! პოდა, რომ დაინახა, მანავის ზემო
 უბანში სათავე ნაგებობიდან დაწყებული
 პირველ საშუალო სკოლამდე როგორ მოჩუხ-
 ჩუხებდა ხუთი საუნხო წყარო და როგორ
 იღვრებოდა ცუდუბრალოდ ცივ-ცივი სასმე-
 ლი წყალი, ფიწალი ხელიდან გააგდო და,
 ამას რას ვხედავო, თავში შემოიკრა ორივე
 ხელი!

კიდევ კარგი, ეზოებში არ გადაუხედავს,
 თორემ შეიძლებოდა უარესი დამართოდა!..

მერე, როგორც იქნა, ბოლმა დაიცნო და
 უთხრა ზემოუბნელებს: — თქვე დალოცვილე-
 ბო, ამდენი წყალი რომ აქ იღვრება, ქვემო
 უბანში რაღა უნდა წავიდესო?

— ქვემო უბანში მაინც არ წავა, ზღვაც
 რომ მოსკედესო — უპასუხეს ზემოუბნელებმა,
 — რადგან მიღგაყვანილობა დიდი ხანია
 დაუქმებულა, ახლახან 3600 მანეთის მილე-
 ბი იყიდა სასოფლო საბჭომ, იმას რომ ჩაყ-
 რიან მიწაში და წყალსადენს გამართავენ,
 მაშინ კი შეიძლება მთელი წყალი იქით
 წავიდესო!

ახლავა მისვდა ნიანგი, რომ ანონიური
 წერილის ავტორი ზემოუბნელი იყო და რომ
 იგი კერძომესაკუთრულმა ბაცილამ ჰქუას
 გადაადინა, იმის შიშით, რომ, ვაითუ, ჩემს
 ეზოს წყალი მოაკლდესო, გაღმა შეედავა
 ქვემოუბნელებს.

— ისე კი წყალი მართლა იმღვრევა სოფელ
 მანაპში, იმღვრევა ყველასათვის, რადგან
 წყალსადენის მილები ბევრგან არის დახვ-
 რეტილი კვლავ და კვლავ კერძომესაკუთრ-
 ლი სენით დაავადებულთაგან და ამ ადგი-
 ლებიდან შეიძლება ათასი სიბინძურე მოხვ-
 დეს სასმელ წყალში! — ჩაილაპარაკა ნიან-
 გმა, — ეს ერთხელ თქვენთვის ძლივს მოვი-
 ცალე, მაგრამ ვერ გაგიმეტო, ვერ გავსარჯე
 ფიწალიო!

მერე თავისი განუყრელი იარაღი მხარზე
 გაიდო და ზრდილობის ზღვარს რომ ერთ-
 ხელაც არ გადასულა, ისე წამოვიდა მანავი-
 დან.

ივანე ოსაფაიშვილი,
 „ნიანგის“ სპეცკორესპონდენტი.

დამჩარებას მეც მხარს ვუბამ,
 პროგრესისაკენ გზას ვიკვლევ,
 ხან სალობიეს „ვითვისებ“,
 ხან — საქაბაბე-სახინკლეს!

—:—

ხელს დამიქნევენ — მიფორინავ
 თვალი დაუდგა თავპატივს!
 ახალ რეკორდებს ვამყარებ
 სინკლის ჩქაროსნულ ყლაპვაში!

—:—

გემოს თუ ვატან, მხოლოდ მას —
 სუფრას მუქთან და უშრომელს,
 დღეს მიხას თიკანს ყელს ვლადრავ,
 ხვალ — თეოფილეს უშობელს!


—:—

ცხელ სამუშაოს ვასრულებ,
 ორთქლიან სუფრას ბდღვირს ვადენ,
 რაც უნდა მასვან-მაჭამონ,
 ვერავინ მომყრის პირთამდე!

მერაბ ელგუჯაური

ღაზიუტი

ნახ. არჩილ ხანთაძისა



— ბატონო ექიმო, ეს ჩემი სიდედრია, აუცილებლად
 უნდა გადამიჩინო, ხომ იცით, ხალხმრავალი ქელებები
 აკრძალებს!..



— სიგარეტი გაქვთ?
 — არა, ჩვენ არ ვეწევით!

ბარათები „ნიანგს“

პისან სოხუმში, კომკავშირის გზატკეცილზე ერთხელ მაინც გაუვლია, ალბათ შენიშნავდა, რომ აქ მანქანით მგზავრობა თითქმის შეუძლებელია. აყრილ-დაყრილი გზა და ორმოები საფრთხეს უქმნის ტრანსპორტს. ამის შესახებ არაერთხელ მიემართეთ გზის შემკეთებლებს, მაგრამ უურადღება არავინ მოგვაქცია! არადა, ამ გზატკეცილით სარგებლობენ სოხუმის ჩელიუსკინელების სახელობის ტურბაზის ბინადარნი და ზღვისკენ მიმავალი სტუმრები. ეს გზა ემსახურება სამ სოფელს!..

ძვირფასო ნიანგო! იქნებ ჩვენი უვარგისი გზის ამბავი მიაწვდინო სოხუმის რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელობას!

ქ. სოხუმის კომკავშირის გზატკეცილის მსოვრაზნი

გასული წლის სექტემბრის შუა რიცხვებში გადათარგეს ჩვენი ეზო, რათა დაედგინათ, საიდან ჩადიოდა ერთ-ერთი მცხოვრებლის სარდაფში წყალი. ამის შემდეგ მთელი ეზო დაემსგავსა სარდაფს გადათხრილი და ამოუვსებელი ორმოებით. გვაწუხებს შმორის სუნი და ანტისანიტარია!.. ათასი თხოვნა და ჩივილი დაგვჭირდა იმისათვის, რომ ამოთხრილი მიწა გაეტანათ და ასფალტი დაეგოთ, მაგრამ!..

ნიანგო! იქნებ შენ მაინც გვიშველო რამე!

თბილისი, კალინინის ქ. № 69-ში მსოვრაზნი მოგინადრკაზნი

ძმარო ნიანგო! ერთი დაუჯერებელი ამბავი გვინდა გამცნოთ: 1975 წლიდან ჩვენი ქუჩა არ განათებულია!.. კანალიზაციის სისტემიდან წყალი პირდაპირ ქუჩაში მიედინება, შედება ახალ-ახალი კორპუსები, ტრანსპორტი კი იგივე რჩება!.. ჩვენი ბინების წყლით სავსე სარდაფებში სისტემატურად გამოდის კოლოს ახალი ჯიშები!.. იქნებ მოზრძანდეთ და თქვენი თვალით ნახოთ ჩვენი გასაჭირი!

თბილისი, ულიანოვის ქ. № 145-ს მსოვრაზნი

პატივცემულო ნიანგო! მოგმართავთ თხოვნით: სანამ ქ. თბილისის ოცნების ქუჩის № 2-ში მდებარე სახლი არ დაზარადება და შიგ არ მოვყვლილვართ, მოზრძანდეთ და ნახოთ, თუ როგორ შეიძლება ოთხსართულიანი სახლის სის ბოძებით დამაგრება! ოღონდ ფრთხილად იყავით, ეზო მთლიანად გადათხრილია! გაგიკვირდებათ ალბათ, მარტო სიფრთხილე რას მიშველისო?! ჩვენც გვიკვირს შესაბამისი ორგანოების ზრუნვა: „სახლი ავარიაულ მდგომარეობაშია, იყავით ფრთხილად!“ – მარტო გაფრთხილება გვიშველის?!

ცხინვალიდან გაწუხებთ კომპაროვის ქუჩის მცხოვრებნი, გვიჭირს ამ ქუჩაზე გავლა, გადათხრილი და უპატრონოდ მიტოვებული ორმოებისა და გასატანი მიწის გორების წყალობით! ასეთ მოუწყობელ ქუჩაზე სიარულს მუდმივი სიბნელეც აძნელებს. ცხინვალის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1986 წლის 11 აპრილს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ ჩვენს საჩივარზე დამამშვიდებელი პასუხი გაგცა: „ამჟამად სარემონტო სამუშაოები დამთავრებულია. კომპაროვის ქუჩაზე ელექტროგაყვანილობა ფუნქციონირებს ნორმალურად“.

ძმარო ნიანგო! მას შემდეგ ცხრა თვე გავიდა, სინათლე კი არ ჩანს... იქნებ მოგვემართო!

ქ. ცხინვალი, კომპაროვის ქუჩის მსოვრაზნი.

ამ ბარათს, რომელსაც 25 კაცი ვაწერთ ხელს, ქ. გორიდან გიგზავნით. ჩვენი ქუჩა სადგურის დასახლებაში მდებარეობს ატენის რიონი და მთის ფერდობს გასდევს. ნიანგო, შენზე უკეთ ვინ გაიგებს, უწყლობა და უგზობობა რა ძნელი მოსათმენია. გავიგეთ, ჩვენკენ გინებენიათ მოზრძანება, საყვარელო ნიანგო! როცა ქალაქის ხელმძღვანელობა დაპირებას შეგვისრულებს, გზას გაგიკეთებს და სასმელი წყლით დაგვაკმაყოფილებს, მაშინ მოზრძანდით, სინარულით გამასპინძლებთ!

ბარათები შეკრიბეს ნანა ჯაჯანაშვილმა და ნანული ჯაჯანიშვილმა.



— ხუთმანეთიანი მალეძარას შეკეთებაში ათ მანეთს მახდევინებ?!

კითხვა-პასუხი

კითხვა: ახალ საიუბილეო საფეხბურთო სეზონში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გათამაშდება თუ არა ავტომანქანები იმ სიძებზე, რომლებსაც სიდიდრების სურათები ექნებათ თან?

პასუხი: საზღვარგარეთის სტადიონებისაგან განსხვავებით წელს ჩვენ განზრახული გვაქვს ჩავატაროთ ასეთი გათამაშება, ავტომანქანას მოიგებს ის მაყურებელი, რომელსაც სურათის ნაცვლად ცოცხალი სიდიდრი ეყოლება ტრიბუნაზე.

კითხვა: მყავს ათი გოგო, ვითვლები თუ არა გმირ მამალ?

პასუხი: ათივე გოგოს გათხოვების შემდეგ თქვენ აუცილებლად მოგენიჭებათ გმირი მამის წოდება!

კითხვა: შეიძლება თუ არა ნასვამ მდგომარეობაში ვირზე ჯდომა?

პასუხი: ამხედრდი, მაგრამ ნუ გასახედრდები!

კითხვა: ჩემი უფროსი ბიჭი ოთარა ათი წელია, რაც უმაღლესში სწავლობს და ძროხასავით მწველის. მირჩიეთ რამე, შავლონდი, ხალხო!

პასუხი: სასწრაფოდ წაიყვანეთ ქალაქიდან, მიეცით დიდი თოხი და ჩააბარეთ კოლმეურნეობას!

კითხვა: ვწერ ანონიმურ წერილებს და ვწამლავ ყველაფერს, სანეპიდსადადგურს ერთხელაც არ მოუკითხავს. ეს მუშაობა?

პასუხი: მალე მილიცია მოგაკითხავთ!

ჯონი ბაზემარაშვილი

„ამერიკის აღმინისტრაციას განზრახული აქვს, კვლავ გაუწიოს ნიკარაგუელ კონტრასებს ახალი ფინანსური დახმარება 105 მილიონი დოლარის რაოდენობით“.

გაზეთი „ბიჭი“



საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა

КОНТРОЛЬНЫЕ

№ 264
20/11/19 87



სატირიკო და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ №7 (1737). აპრილი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ აღიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირჯიბი, ნოზა ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამხონია, ბეჟან სიხარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივიციანი, ნათე ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღა

გადაცემა ასაწყობად 5.03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.04. 87 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₄, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კაცის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 609. უე 04861 ტირაჟი 144.000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემაწიანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42, Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაბ. ინდექსი 76137

